



მწვანე
სტრუქტურა

CEE

bankwatch
network

პრივატიზაცია და გარემოს დაცვა

საქართველოს ტყეების პრივატიზაცია -

ნაბიჯი გაურკვევლობისა თუ საბაზრო
ეკონომიკისკენ



თბილისი 2005

ISBN 99940-62-53-0

კვლევა მოამზადა მანანა ქობლაძე CEE Bankwatch network

გამოცემულია: მწვანე ალტერნატივა

დაკაბადონება და ბეჭდვა: შპს “გეორტი”

რედაქტორი: ირაკლი მაჭარაშვილი

ფოტოები: მწვანე ალტერნატივას არქივი.

(c) მწვანე ალტერნატივა | CEE Bankwatch Network

ს ა რ ჩ ე მ ზ ი

საქართველოს სატყეო სექტორში არსებული პრობლემები	1
საქართველოს ტყით დაფარული ტერიტორების მფლობელობის საკითხი	2
პრივატიზაცია და გარემოს დაცვა	3
მსოფლიოში არსებული გამოცდილება ტყეების პრივატიზაციის კუთხით	5
საქართველო და ტყის პრივატიზაცია	7

მაბალითები

შპვიცია -----	9
მდგარდი შეტყევეობა თუ მდგარდი პლანტაციური მეურნეობა	
შნბრეტი -----	12
ტყეების დეგრადაცია სახელმწიფოს ხელშეწყობით	
ინფონეზია -----	15
ეროვნული პარკების პრივატიზაცია	
მაღაიზია -----	17
მულუს ეროვნული პარკი	

საქართველოს სატყეო სექტორში არსებული პრობლემები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მკვეთრად იმატა ტყეების დეგრადაციის ტემპმა, რის შედეგადაც გაძლიერდა ეროზიული პროცესები, დაზარალდა ნიადაგის რესურსები და შეიცვალა წყლის ცირკულაციის რეჟიმი. მრავალი ექსპერტი მიუთითებს პირდაპირ კავშირზე ერთის მხრივ განშირებულ გვალვის, წყალდიდობებსა და მეწყერების და, მეორეს მხრივ, უკანასკნელ წლებში სატყეო რესურსების გადამეტებულ ექსპლუატაციას შორის. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ეს პროცესები 2004-2005 წლებში, როდესაც წვიმებისა და მეწყერებს მოჰყვა მსხვერპლი და ნგრევა, რამაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დატოვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წარმოქმნილმა ენერგოკრიზისმა აიძულა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნებოდა შეშის მოხმარებას, როგორც გათბობის, ასევე საჭმლის მომზადების მიზნით. ეკონომიკური კრიზისის შედეგია მერქნის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უიაფესი საექსპორტო რესურსის, უდიდესი ნაწილის გადინება თურქეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.



ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს დაახლოებით 40% ტყით არის დაფარული, რომლის ფერდობებზე და ასრულებს წყლის კონსერვაციის, ნიადაგის დაცვის, ეროზიის საწინააღმდეგო და კლიმატის მარეგულირებელ ფუნქციებს. საქართველოში დიდი და მცირე კავკასიონის მიუვალ ქედებზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ქალწულებრივი ტყეები.

მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის მქონე საქართველოს მთის ტყეები, კოლხეთის დაბლობის ტყეებთან ერთად, არეგულირებს კლიმატს ევრაზიის შემაერთებელ ყელზე. სამწუხაროდ, ამ უნიკალური ტყის ეკოსისტემების ხელყოფა, მათი მოუწყვსრიგებელი ექსპლუატაცია დღევანდელი საქართველოს რეალობაა. ამიტომ, საქართველოს ტყეები განსაკუთრებულ ყურადღებასა და დაცვას ითხოვს, დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის.

ტყეების ხარისხობრივი შემადგენლობისა და პროდუქტიულობის დეგრადაციის შედეგად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება ტყის ფუნქციის (კლიმატწარმოქმნელი, წყლის რეჟიმის მარეგულირებელი) თითქმის მთლიანი დაკარგვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ტყე უფრო მეტია ვიდრე ხეების ერთობლიობა. ტყე რთული ეკოსისტემაა და ასრულებს უამრავ ფუნქციას, რომელთაგან ნებისმიერის დაკარგვა უნდა განვიხილოთ, როგორც ტყის დაკარგვა.

საქართველოს ტყით დაფარული ტერიტორიების ფუნქციონირების საკითხი

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გამოითქმება აზრი იმის შესახებ, რომ პრივატიზაცია თუ გრძელვადიანი იჯარა იქნება ერთდართი საშუალება, საქართველოს ტყეების გადასარჩენად ფართო საზოგადოებისათვის ტყეების პრივატიზაციის ინიციატივამ პირველად “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, 2004 წლის ივნისში, ქალაქ ბრიუსელში გამართულ საერთაშორისო დონორების კონფერენციაზე გაიჟღერა. თუმცა ამის წინაპირობები მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მეცადინეობით უკვე დიდი ხანია არსებობს როგორც საქართველოს კანონმდებლობაში, ასევე მთელ რიგ სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორცაა მაგალითად, “სიღარიბისა და ძღვევისა და ეკონომიკური ზრდის დოკუმენტი”. ამ დოკუმენტის მიხედვით 2004-2015 წლების ერთერთი მთავარი პრიორიტეტი ტყეების პრივატიზაციაა.

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, ტყის მესაკუთრე შეიძლება იყოს “სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიული პირები”.³ თუმცა იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფო ტყეების განსახელმწიფოებრიობა, საჭირო სპეციალური კანონის მომზადება. ახალი ტყის კოდექსი, ასევე საქართველოს ტყეების კერძო მფლობელობაში გადასვლის შესაძლებლობა, წარმოადგენდა საქართველოში მსოფლიო ბანკის “საქართველოს ტყის განვითარების პროექტის” განხორციელების წინაპირობას.⁴

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი გულისხმობს სწორედ სახელმწიფო ტყეების განსახელმწიფოებრიობისათვის სპეციალური კანონმდებლობის შემუშავებას და 2008 წლისთვის ამოქმედებას.⁵

საქართველოში ტყითსარგებლობა ძირითადად რეგულირდება “საქართველოს ტყის კოდექსისა” (1999 წ.) და “ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე (2005 წ.). აქ ჩვენ არ შევეხებით ყველა იმ სისუსტეს, რაც ახასიათებს როგორც ტყის კოდექსს, ისე განსაკუთრებით “ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონსა და მის საფუძველზე მომზადებულ სხვადასხვა ნორმატიულ აქტს. თუმცა გვინდა კვლავ ხაზი გავუსვათ, რომ მწირ ინსტიტუციონალურ შესაძლებლობებთან ერთად, ტყეების სავალალო მდგომარეობა გამოწვეულია სწორედ ძველი და ახალი საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობით რეალობასთან, მათი წინააღმდეგობრივი ხასიათითა და აღსრულების მექანიზმის სირთულით, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს კორუფციის

გაღრმავებას სექტორში.⁶ გამომდინარე არსებული რეალობიდან და დაგროვილი გამოცდილებიდან, მიგვაჩნია, რომ ტყეების პრივატიზაცია ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე დამღუპველი იქნება საქართველოს ბუნებრივი გარემოსათვის. გასათვალისწინებელია როგორც სატყეო სექტორის პრივატიზაციისას სხვადასხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილების გათვალისწინება, ასევე უსუსტად არის დასათვლელი რა დაუჯდება ქვეყანას ტყეების პრივატიზაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ მსოფლიოში ტყეების პრივატიზაცია არ უხსნის პასუხისმგებლობას სატყეო სფეროს მარეგულირებელ ორგანოს კერძო ტყეების მართვის განხორციელების კონტროლზე.

პრივატიზაცია და ბარემოს დაცვა

ბუნებრივი რესურსების მართვისას, სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის პრივატიზაციის მომხრეთა არგუმენტი, რომ ადამიანები მხოლოდ მაშინ იცავენ თავიანთ სიმდიდრეს [ქონებას], როდესაც ეს ქონება კერძო საკუთრებაშია მოქცეული. ამ თეორიის თანახმად, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა დაიწყეს წყალგამყოფებისა და დაცული ტერიტორიების, ბუნებრივი ტყეების მიყიდვა კომპანიებსა და კერძო სტრუქტურებისათვის.

თუმცა ის, რომ კომპანია დებულობს დე-ფაქტო საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე თუ წყალსატევეზე, არ ნიშნავს ავტომატურად იმას, ის განკარგავს მიწისა თუ წყალსატევეზე მდგრადი მართვის პრინციპებზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, საერთაშორისო სატყეო კვლევის ცენტრის⁷ და სხვა ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები მეტყველებს, რომ ტყეების მდგრადი მართვა ეკონომიკური თვალსაზრისით დღესდღეისობით აზრს მოკლებულია.



თანამედროვე ბაზრის პირობებში უფრო მომგებიანია მორების უკონტროლო მოპოვება და/ან ტყეების ჩანაცვლება დიდ ფართობზე სწრაფად მზარდი მონოკულტურული ხის პლანტაციებით. ამ სამწუხარო რეალობის შედეგად უკვე მოხდა მილიონობით ჰექტარზე ტროპიკული ტყეების განადგურება ისეთ ქვეყნებში როგორცაა ინდონეზია, მალაიზია და ბრაზილია⁸.

უკვე მრავალი წელია, რაც გადაწყვეტილების მიმღებნი, ისეთ

მნიშვნელოვან ორგანიზაციებში, როგორცაა მაგ. მსოფლიო ბანკი, აღიარებენ, რომ ეკონომიკის დერეგულაცია ანადგურებს ბუნებრივ რესურსებს. მათი აზრით, ეს განპირობებულია რესურსის არაფულადი ღირებულების იგნორირებით. შესაბამისად, განვითარდა თეორიები, რომლის თანახმადაც ტყეები, წყლის რესურსები და სხვა ბუნებრივი რესურსები უნდა შეფასდეს ფულად ერთეულებში. შემუშავდა სხვადასხვა მიმზიდველი ეკონომიკური მოდელები, რათა გადაეყვანილი ყოფილიყო სასმელი წყლისა თუ ლანდშაფტის ღირებულება ფულად ერთეულებში. შედეგად, ეგრედწოდებული “ვაშინგტონის კონსენსუსმა” შემოგვთავაზა ამ ღირებულებისათვის ბაზრების შექმნა. დაცული ტერიტორიების, ნახშირორქანის, გენეტიკური რესურსების, მტკნარი წყლის და ლანდშაფტების ვიზუალური ღირებულებათვის ბაზრის შექმნა იქცა წამყვან თემად გარემოს დაცვაში. ლოზუნგი “ვერ დაიცავ მას, თუ ვერ შესძლებ მის გაყიდვას” გახდა ისეთი ინიციატივების საფუძველი, როგორცაა “ბიოვაჭრობის”, ინიციატივა, რომელიც გაჟღერდა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების 1996 წლის კონფერენციაზე.

“რადგანაც მრავალი ქვეყანის მთავრობა პირდაპირ არის დამოკიდებული მსოფლიო ბანკის მიერ გაცემულ კრედიტებზე, ბანკს შესწევს უნარი “შესთავაზოს” ქვეყანას ბუნებრივი რესურსების პრივატიზაცია, როგორც ამას აქვს ადგილი საქართველოში. ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ამ გზით ის შესძლებს შეინარჩუნოს გარემო მომავალი თაობებისთვის ყოველგვარი დანახარჯების გარეშე. არგუმენტად მოჰყავთ ისიც, რომ კერძო სექტორი უზრუნველყოფს ფინანსირების ახალ წყაროებსა და სპეციალისტების ექსპერტიზას. ალბათ მოსახერხებელია გადაულოცო საკმაოდ ძვირი ქმედებების განხორციელების პასუხისმგებლობა კერძო სექტორს, მითუმეტეს რომ სარგებელი ამ ქმედებებიდან საკმაოდ ხანგრძლივი დროის შემდგომ მიიღწევა.

სამწუხაროდ, ამ საქმიანობების შედეგი საკმაოდ დამღუპველი და სულ რამოდენიმე წელიწადში შეიმჩნევა. ამის კარგი მაგალითია ბიოლოგიური რესურსების და ეკოსისტემების დეგრადაცია ეროვნულ პარკებში. მთელ მსოფლიოში, ევროპის ქვეყნების გარდა, მთავრობები კერძო სექტორს აფინანსებინებენ ბუნების კონსერვაციასა და ტურიზმის განვითარებას პარკებში, პარკების პროვატიზაციის გზით. შედეგები ადგილობრივი მოსახლეობისა და გარემოსთვის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. მსოფლიო პარკების კონგრესმა 2003 წელში დაადასტურა, რომ დაცული ტერიტორიებზე არასოდეს არ ყოფილა ეკოსისტემების განადგურების ასეთი დიდი საფრთხე, როგორც ამჟამად. კონგრესის მოსაზრებით, ყოველივე

ეს უპირველესად, გამოწვეულია პარკების ფართო მასშტაბიანი ინფრასტრუქტურული განვითარებით, კომერციალიზაციით და სოციალური უთანასწორობით.

მსოფლიოში არსებული გამოცდილება ტყეების პრივატიზაციის კუთხით

მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის მონაცემებით საზოგადოებრივი ტყეების გაყიდვა ჯერაც არ წარმოადგენს მიღებულ პრაქტიკას. ტყეების პრივატიზაცია ორგვარია. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია იმ სახელმწიფო ტყეებზე, რომელთაც არა აქვს ე.წ. არა-ფინანსური სარგებელი (როგორცაა სოციალური და გარემოსდაცვითი) და მეორე, როდესაც მკაცრი საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს ამ არა-ფინანსური სარგებლის არსებობას პრივატიზაციის შემდეგაც.


დღესდღეობით, სამმა ქვეყანამ - ჩილემ, ახალმა ზელანდიამ და დიდმა ბრიტანეთმა მოახდინა სატყეო პლანტაციების (ძირითადად ეგზოტიკური სახეობების) ფართო პრივატიზაცია პირველი სქემის თანახმად. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ სოციალური და გარემოსდაცვითი პერსპექტივიდან, ასეთი ტყეები საზოგადოებისთვის არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელოვანი არა ფინანსური სარგებლის წყაროს.

ევროპაში ტყეების 47% დაახლოებით მილიონობით კერძო მფლობელის ხელშია¹⁰, (თითოეულზე 5-ჰაზე ნაკლები). დასავლეთ ევროპაშიც, კი სადაც ტყეების კერძო მფლობელობა ისტორიულად ჩამოყალიბებული ელემენტია მიწათმოქმედების კულტურისა, მდგარდი მართვისა და ტყეების ბუნებრივი ღირებულების დაცვის თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი პრობლემებია. ევროკავშირი აღიარებს, რომ ტყე და სატყეო პოლიტიკა საკმაოდ ფაქიზი და რთული საკითხია.

აღსანიშნავია ისიც, რომ კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან ევროპულ ქვეყნებში საკმაოდ მაღალია. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში კერძო მფლობელი ვალდებულია ისევე იზრუნოს ტყეზე, როგორც სახელმწიფომ: მას არ შეუძლია მოტრას გარკვეულ პერიოდში დადგენილზე მეტი, ვალდებულია ადადგინოს ტყე გაჩეხილ ტერიტორიებზე¹¹, მოუაროს მას, გაატაროს სპეციალური ზომები ბიომრავალფეროვნების დაცვის მხრივ, ხოლო ნებისმიერ სხვა მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შევიდეს ამ ტერიტორიაზე.

ამავდროულად, დღესდღეისობით გერმანელი, შვედი და ფინელი

მეტყველები აღიარებენ, რომ მეტყვეობა არ არის ადვილი და მომგებიანი ბიზნესის სფერო. იმისათვის, რომ კერძო ტყემ მოიტანოს რეალური და მდგრადი მოგება, აუცილებელია რომ მფლობელი ან მმართველი იყოს თანამედროვე მეტყვე სპეციალისტი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგების მიღების ერთადერთი წყარო კერძო ტყიდან არის მისი გაჩეხვა.



შესაბამისად, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ისტორიულად არის ჩამოყალიბებული მეტყვეობა და სატყეო ინდუსტრია აყვანილია სახელმწიფო პრიორიტეტად, საკმაოდ დიდი პრობლემაა ტყის ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, აგრეთვე საზოგადოების არა-ფინანსური (სოციალური და გარემოსდაცვითი) სარგებლის შენარჩუნება. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად 40 მილიონი ფუნტი სტერლინგის სუბსიდია მიემართება კერძო მფლობელებისა და კორპორაციების ანგარიშზე ტყეების შენარჩუნებისა თუ მართვისთვის.¹²

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა 90იანი წლებიდან დაიწყეს ფართო მასშტაბიანი რესტიტუციისა და პრივატიზაციის პროცესის განხორციელება. სლოვაკეთმა, რუმინეთმა, ლატვიამ, უნგრეთმა და პოლონეთმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი სატყეო ფონდებისა გაასხვისეს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრივატიზაცია და კერძო საკუთრება ნამდვილად არ წარმოადგენს ავტომატურ გარანტიას, იმისა რომ რესურსების მოხმარება მდგრადი გახდა. IUCN –ის ცენტრალური ევროპის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად¹³, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ტყის ახალი მფლობელთა უმეტესობა არ იცნობს მდგრად სატყეო პრინციპებს და მიაჩნიათ, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვა არის თავს მოხვეული გარემოსდამცველებისა თუ ევროკავშირის მიერ. ამავდროულად, გარემოსდამცველები, ისევე როგორც მთავრობის წარმომადგენლებს არ ჰყოფნიან შესაძლებლობა, რათა გააცნობიერებინონ და დაეხმარონ ტყის ახალ

მფლობელებს ბიომრავალფეროვნების ღირებულების დაცვაში. კერძო მფლობელებს არა აქვთ გამოცდილება ტყის მართვაში, ასევე არ შეუძლია გამოყოფილი სუბსიდიების მიზანმიმართული ათვისება.

საქართველო და ტყის პრივატიზაცია

დღეს საქართველოში მრავალ საინტერესო პროცესს აქვს ადგილი როგორც სახელმწიფოს მშენებლობის, ასევე ეკონომიკის განვითარების კუთხით. თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მიუხედავად მომრავლებული ე.წ. რეფორმებისა სხვადასხვა სექტორში და განსაკუთრებით გარემოს დაცვაში, არ არსებობს ერთიანი კონცეფცია, თუ როგორ უნდა გადავლახოთ არსებული პრობლემები.

თუ დავვერდნობით ოფიციალურ განცხადებებს, საქართველოს მთავარი მიზანი ევროკავშირში გაერთიანებაა. თუმცა, რეფორმების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით გარემოს დაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმები და საკანონმდებლო ცვლილებები, მნიშვნელოვანწილად აფერხებს ქვეყნის სვლას ევროკავშირთან პარმონიზაციის გზით. სახელმწიფო გარემოს დაცვაში მიმდინარე რეფორმებით ცდი-



ლობს საერთოდ ჩაომიცილოს კონტროლის ფუნქცია და მიაჩნია, რომ კერძო სექტორი ამას უკეთესად შესძლებს. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანები, რომლებიც დღეს ებუ-ლობენ გადაწყვეტილებებს არ გააჩნიათ თანამედროვე ეკონომიკური განათლება, რომ არაფერი არ ვთქვათ გარემოსდაცვით განათლე-

ბაზე. წარმოებული რეფორმები წარმოადგენენ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფუნდამენტალური იდეების ხორცშესხმას, თუმცა ხანდახან ეს იმდენად სწორხაზოვნად ხდება, რომ თვით ამ ორგანიზაციის წარმომადგენლების უდიდეს გაკვირვებას და აღშფოთებასაც კი იწვევს.

ამის დამადასტურებელია, ის ფაქტი, რომ 2004 წლიდან მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციამ გამოყო 300 000 აშშ დოლარი გრანტის სახით, რათა საქართველოს მთავრობას შესძლებოდა ქვეყნის სატყეო პოლიტიკის შემუშავება. ფაქტია, რომ მიუხედავად მრავალი

ქადაღლზე შექმნილი კომისიისა და მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული რამოდენიმე შეხვედრისა, სამუშაო ამ მიმართულებით არ განხორციელებულა და დღეს საერთოდ შეჩერებულია სატყეო პოლიტიკაზე მუშაობა.

თუმცა, გვინდა დავარწმუნოთ მთავრობა, რომ კერძო მმართველობის/ხანგრძლივ დროიანი იჯარის შემოტანით ისინი ვერ აღმოფხვრიან ვერც ერთ არსებულ პრობლემას სატყეო სექტორში; და უფრო მეტიც - გარკვეული პრობლემები კიდევ უფრო გამძაფრდება. აქ ძირითადი პრობლემა არის ცუდი მმართველობა და კონტროლის მექანიზმების არარსებობა, რის შედეგადაც ჩვენი მოსახლეობა პირდაპირ ზარალდება (მეწვერები, წყალმოვარდნები, სასმელი წყლის დაკარგვა და ა.შ).

რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობამ ტყეების შესაძლო პრივატიზაციის/ხანგრძლივ დროიანი იჯარის შემოღების დროს:

- დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არის ცნობილი საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყის რესურსების მოცულობა. სამწუხაროდ, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ მოხერხდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტყეების სრული ინვენტარიზაცია და ტყეების მრავალფუნქციური (არა მხოლოდ მერქნული და არამერქნული ფასეულობების) თვისებების გათვალისწინებით მათი საერთო ეკონომიკური შეფასება;
- უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საქართველოს სატყეო პოლიტიკის შემუშავება საზოგადოების ყველა ფენის ინტენსიური თანამონაწილეობით; საბოლოოდ, სწორედ ეროვნულ კონსენსუსზე დაფუძნებულმა ეროვნულმა სატყეო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს საქართველოს ტყეების მფლობელობის ფორმები და ტყეების ფუნქციურ დატვირთვა;
- აუცილებელია შეფასდეს კერძო მფლობელობაში არსებული ტყეების მართვაზე სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური ხარჯები;
- შეფასდეს, თუ რა დაუჯდება სახელმწიფოს ტყეების პრივატიზაცია/ ხანგრძლივ დროიანი იჯარის თანამდგევი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება და მიტიგაცია;
- შეფასდეს ადგილობრივი მოსახლეობის ტყესთან დაკავშირებული სოციალური სარგებელი. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტყე ძირითად სასიცოცხლო წყაროს წარ-

მოადგენს. ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობა ტყეს საერთო საკუთრებად მიიჩნევს და მისი კერძო მფლობელობაში გადაცემა, სათემო ტყეების ინსტიტუტის შემოღების გარეშე, დამატებითი კონფლიქტის წყაროდ იქცევა;

- დადგინდეს ტრადიციული მოხმარების და ტრადიციული საკუთრების (მაგ. სახატე ტყეები) ტყის სტატუსი, არსებული ექსპლუატაციის მასშტაბები და ფორმები.

შვეციის სატყეო სექტორი - მოდელი თუ მითი

შვეციის სატყეო სექტორი მოიხსენიება ხშირად, როგორც საქართველოს სატყეო მეურნეობისათვის სამაგალითო მოდელი. ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა არა მარტო კერძო მესაკუთრესა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა სატყეო სექტორში, რომელიც საკმაოდ დაბალანსებულად გამოიყურება, არამედ ის, თუ რამდენად “მდგრადია” სინამდვილეში მოდელი. რომელიც თითქოს ღირსია მიბაძვისა.

შვეციის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ტყით არის დაფარული. სწორედ ტყემ ითამაშა გადამწყვეტი როლი ქვეყნის განვითარებაში და აგრარულიდან ინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლაში.

ამჟამად შვეცია ფლობს 23 მლნ. ჰა პროდუქტიულ სატყეო მიწებს, საიდანაც მხოლოდ 5%-ზე ნაკლები წარმოადგენს ძველ (old growth forests) ტყეებს. თუ გავიმეორებთ შვედი გარემოსდამცველების ნათქვამს “შვეცია არის ხეებით სავსე, მაგრამ ძალიან ცოტა ტყის მქონე ქვეყანა”¹⁴.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან სატყეო მეურნეობის განვითარება პრიორიტეტული გახდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყანა აგრარული განვითარებიდან ინდუსტრიული განვითარების გზას დაადგა, შედეგად გაიზარდა მიგრაცია დიდ ქალაქებში, რამაც ხელი შეუწყო სატყეო ინდუსტრიის კონცენტრირებას რამოდენიმე მსხვილი კომპანიის ხელში. თუმცა, დღესაც სატყეო მიწების 51% ეკუთვნის კერძო მფლობელებს (მოქალაქეებს) მათი რიცხვი დაახლოებით 350.000-ს აღწევს; 25% კერძო საწარმოო კომპანიებს; 18% - სახელმწიფო საკუთრებას; 6% - საკუთრების სხვა ფორმებშია.

ზოგადად, ტყეების მართვის პროცესმა შვეციაში გაიარა ოთხი ეტაპი: პირველი ეტაპი იყო “ადგილობრივი გამოყენება”, შემდეგი - “მორების დამზადება”, მესამე - ტყეების აღდგენა (რეფორესტაცია) და მეოთხე - “პლანტაციური მეტყეეობა”, ინტენსიური სილვაკულტურული მეთოდების გამოყენებით.

მაგალითისთვის, დღეისათვის სახელმწიფო სააქციო კომპანია “სვეასკუბ”-ი ფლობს 4,6 მლნ. ჰა სატყეო მიწებს, აქედან პროდუქტიული ტყეებით დაფარულია 3,5 მლნ. ჰა. ეს ტყის მასივები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გადანაწილებული, მაგრამ ძირითადი სამფლობელოები ნორბოტენის და ვასტერბოტენის პროვინციებშია. მერქნის დამზადების მოცულობა შეადგენს წელიწადში დაახლოებით 6 მლნ. მ³.

სატყეო კანონმდებლობის გათვალისწინებით, კომპანია “სვეასკუბ”-ის მიერ ტყეების მართვის კონტროლს აწარმოებს სააგენტო, რომელიც ნაციონალური სატყეო სამმართველოსა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. საკუთარ ტყეებში კომპანია “სვეასკუბ”-ი ასრულებს ყველა სამეურნეო ფუნქციას. კომპანიას იმ სატყეო მიწების გაყიდვის უფლება აქვს, რომელიც შექმნილია კერძო ტყის მფლობელებისგან.

თვითონ შვეცია მთლიანად გახდა დამოკიდებული მეტყეობაზე, როგორც ექსპორტზე ორიენტირებულ მრეწველობაზე. იმის გამო, რომ შვეციის გადამამუშავებელი წარმოების წარმადობა მნიშვნელოვნად მეტია ქვეყანაში მოჭრილ მერქანზე, ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მორი იმპორტირდება ქვეყანაში – ავეჯის, დამუშავებული მორების, ქაღალდის და სხვა ნაწარმის დასამზადებლად. ანუ ქვეყნის კეთილდღეობისათვის აუცილებელია გარანტირებული ხელმისაწვდომობა, როგორც იმპორტირებულ, ისე ქვეყანაში დამზადებულ მერქანზე და ყოველწლიურად ეს მოთხოვნილება იზრდება.

შედგავდ, დღეს ინტენსიურია ე.წ. პლანტაციური მეურნეობის წარმოება, რომელიც გულისხმობს ხანდაზმული ტყეების პირწმინდა ტრებსაც, რომლებიც ხშირად მექანიკურად გაფხვიერებულ ნიადაგებზე ვითარდება. მაგრამ ამავდროულად, საფრთხე ემუქრება ბუნებრივ ძველ ტყეებს, რომელთაც განსაკუთრებული კონსერვაციული მნიშვნელობა აქვთ. რადგანაც 90-იანი წლების ბოლომდე შვეციის კომპანიები არა მარტო ტრიდნენ ხანდაზმულ ტყეებს, არამედ აქტიურად იყენებდნენ და აფრქვევდნენ სხვადასხვა ტიპის ჰერბიციდებს, ღრმად ხნავდნენ და წმენდნენ ტაობებს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძირითადმა კომპანიებმა მიიღეს მეტყვეობის მმართველობის საბჭოს სტანდარტები, შეწყდა ზემოთაღნიშნული “მდგრადი” პრაქტიკა. მეტყვეობის ქვეყნის პრიორიტეტად ქცევამ ხელი შეუწყო ისეთი ეკონომიკური აქტივობების შემცირებას როგორცაა აგრომრეწველობა, ფერმერობა და პირუტყვის მოშენებამ, ტრადიციული მეურნეობების შენარჩუნება.

პრობლემები შვედეთის სატყეო სექტორში

ინტენსიურმა პლანტაციურმა მეტყევეობამ, რომელიც სკანდინავიური მოდელის სახელით არის ცნობილი, მთლიანად შეცვალა ტყის ეკოსისტემა. ამ მოდელის გამოყენებით შვედიაში ფართოდ გავრცელდა ე.წ. როტაციული მეტყევეობა, რომელიც მოიცავს პირწმინდა ჭრების განმეორებით ციკლს. ძველი ხეები, მკვდარი მერქანი, ფოთლოვანი ხეები, წყალჭარბი ტყეები წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელიც არ არსებობს სკანდინავიურ მართულ ტყეებში. აქ ტყეები შედგება ერთი ასაკის, ერთი სახეობის ზემდგომი ხეებისაგან, რომლებიც დამწიფებამდე იჭრება. ტერიტორია იწმინდება ფართოფოთლოვანი ამონაყარისგან, ხდება წყალჭარბი ტერიტორიების დაშრობა და ნიადაგის სკარიფიკაცია, რაც ზარალს აყენებს მიწას.

სატყეო კომპანიები ფლობენ ტყეებს შვედეთის ჩრდილოეთში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ბუნებრივი ტყეები. საკმაოდ ძლიერია მომხმარებელთა ზეწოლა კომპანიებზე, რათა არ ჩატარდეს პირწმინდა ჭრები ამ ტყეებში რის შედეგად უმეტესობა კომპანიებისა აცხადებს, რომ ისინი არ ჭრიან ძველ ტყეებს და არ იყენებენ ამ ტერიტორიებზე მოპოვებულ მორებს თავის სახერხებში. თუმცა, 2003-2004 წლებში ცხარე დებატები წამოიჭრა, როდესაც სახერხ საწარმოთა მფლობელებმა განაცხადეს, რომ ბუნების დაცვა ხელს უშლის ნედლეულზე ხელმისაწვდომობას. საპასუხოდ, შვედური ტყეების კონსერვაციის ქსელმა განაცხადა, რომ ოფიციალურად მხოლოდ 1% ტყეებისა არის დაცული ჭრებისაგან მთლიანად, ხოლო დანარჩენი 2-3% დაცვა ხორციელდება სერტიფიკაციის საშუალებით. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ნედლეულის დეფიციტის მიზეზი დარჩენილი 96-97% ტყეების გადამეტებული ექსპლუატაციაა. 2000 წლიდან ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ისეთი კომპანიები, როგორცაა კერძო SCA, StoraEnso, Holmen, Korsnäs და სახელმწიფო კომპანიები Sveaskog და Fastighetsverket, ჭრიან წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებს. იგივე ხდება ტყით დაფარული ტერიტორიების 50%-ზე, რომელიც კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნით. 2000-2002 წლის მონაცემებით დაფიქსირდა 103 შემთხვევა იმ ბოტების გაჩეხვისა, რომლებიც წითელ ნუსხაში შეტანილი რამოდენიმე სახეობისგან შედგებოდა.

1994 წელს მიღებულმა სატყეო კანონმა ოფიციალურად პრიორიტეტებად აღიარა როგორც სატყეო მეურნეობის პროდუქცია, ასევე გარემოსდაცვითი მიზნები. უკანასკნელი წლების განმავლობაში შვედეთის მთავრობამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ძველი ტყეების

შენარჩუნებისათვის, რაზეც დიდი ზეგავლენა იქონია საზოგადოებრიობის აზრმა, რომლის მიხედვითაც, ტყის გარემოსდაცვითი და სოციალური ღირებულებების შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მიმდინარე ტყეების ექსპლუატაცია.

უნგრეთი – ტყეების დებრადაცია

უნგრეთის ტყეებს (პლანტაციების ჩათვლით) 1,712,000 ჰექტარი უკავია¹⁵, რაც უნგრეთის ტერიტორიის მხოლოდ 18.4% არის. დარჩენილი ტყის კოროშები ან ძალზედ სახე შეცვლილია ან დომინირებს არაადგილობრივი ჯიშები, ხოლო დანარჩენი ტყეები პლანტაციებს წარმოადგენს. პლანტაციის ჩვეულებრივი ჯიშები მოიცავს: ფსევდოლაკაციას, ალვის ხეს, შავ ფიჭვს, ნაძვს. პლანტაციების საერთო ფართი 910,000 ჰექტარია.

უნგრეთის ბუნებრივი ტყეებიდან უნიკალურია შემორჩენილი ტყის ფრაგმენტები, სილა და ტუტე ნიადაგებზე განვითარებული მუხის ტყეები, მთის სამხრეთ ფერდობების ბუჩქნარ ტყეები და ჭალის ტყეები. აღსანიშნავია ასევე ჩვეულებრივი მუხის და წიფლის ტყეებიც, ტყეები დამახასიათებელია მთელი ქვეყნის ტერიტორიისათვის, წიფელი კი მხოლოდ ქვეყნის ტენიან დასავლეთ ნაწილში და მთებში იზრდება.

სახელმწიფო მიწის რეფორმის გატარების შემდეგ, ქვეყნის საკმაოდ დიდი ფართობი კერძო მფლობელობის ხელში გადავიდა. მიწა დაუბრუნდა როგორც მათ ყოფილ მეპატრონეებს, ისე ვაუჩერის სახით დაურიგდა მოსახლეობას, რომელიც განადგებულ იქნა სახელმწიფო ქონების აუქციონებზე. შედეგად, უნგრეთის ტყეების 60% სახელმწიფო მფლობელობაშია, ხოლო დარჩენილ 40%-ს ფლობს დაახლოებით 300000 კერძო პირი (საშუალოდ 1.3 ჰა მფლობელობაზე). აღსანიშნავია ისიც, რომ პრივატიზაციის დროს ხდებოდა მხოლოდ მიწის და არა ტყის ღირებულების შეფასება.¹⁶ შედეგად ტყის მმართველობა შეეწირა პრივატიზაციის პროცესს.



კერძო ტყეების ტერიტორიის 200000 ჰექტარი მოიცავს ბუნებრივი წარმოშობის ტყეებს. ამასთან, თითქოსდა 327, 178 ჰექტარი (20%) ტყეებისა დაცულია, თუმცა სწორედ ამ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყველაზე დიდი მასშტაბის ჭრები. ფაქტობრივად ეს ტყეები დარჩენილია ყოველგვარი მართვისა და კონტროლის გარეშე¹⁷. ხოლო კერძო საკუთრებაში მყოფი ტყეები, ყველაზე მეტადაა დაუცველი და ემუქრება გადაშენების საფრთხე. ტყის ახალ მფლობელებს აქვთ საკმაოდ მცირე კაპიტალი, არ გააჩნით ტყის მართვის ცოდნა და აქვთ გაცნობიერებული გარემოსდაცვითი ღირებულებები. ამიტომ იყენებენ ტყეებს ხანმოკლე მოგებისათვის. მრავალი მეპატრონე ქალაქშია და იშვიათადაც კი არ სტუმრობს თავის ქონებას. ამავდროულად ამ ტერიტორიებზე სულ უფრო მეტად ახდენენ არამკვიდრი მერქნიანი სახეობების გაშენებას.

ჭრები და მავრობა

ძირითად საფრთხეს უნგრეთის ტყეებისათვის ქმნის ტყის მმართველობის ინტენსიური მეთოდების გამოყენება და ქვეყანაში არსებული ეკონომიკურ-ფინანსური სიტუაცია, რომელიც ტყის განახლების ზოგიერთ მეთოდს ძალზედ ძვირადღირებულს ან საერთოდ შეუძლებელს ხდის.

ტყის მმართველობიდან გამომდინარე პირწმინდა ჭრების ფორმა ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული და დაახლოებით 78%-ს მოიცავს. ხოლო რეგენერაციის მეთოდების ძალზედ მცირე დროის მონაკვეთს იკავებს, სულ 2-3 წელი ნარგავების, მის საბოლოო ჭრამდე.

შედეგად ვღებულობთ ერთი ასაკის ხეებისააგან შემდგარ ტყის კორომებს, სადაც დომინირებს ერთი ან ორი მერქნიანი სახეობა. რაც წინაპირობაა გარემოს და ბიომრავალფეროვნების დაკარგვისა. უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა რათა 2035 წლისათვის ყოფილიყო გატყვევებული 700, 000 ჰექტარი მიწა. მაგრამ ეგზოტიკური სახეობების უპირატესობა განაშენიანების დროს, აბრკოლებს ბუნებრივი ეკოსისტემის აღდგენას ადგილებზე.

ამასთან ერთად კერძო სექტორში კერძო მფლობელებს შორის ძალიან დაბალია სატყეო ცოდნა და მართვის გამოცდილება. გამოკვლევების თანახმად, კერძო მფლობელებში არსებობს ძალიან დიდი მოთხოვნილება იმისა, რომ მოხდეს მოსახლეობაში და კერძო მფლობელებში ინფორმაციის გავრცელება მეტყვეობაზე და ტყის მართვაზე, მათივე აზრით, კერძო მფლობელებისათვის

ასევე აუცილებელია დახმარება ტყის მართვაში.

უნგრეთის ტყეებში ყოველწლიურად იჭრება 6.5,7 მილიონი კუბური მეტრი მერქანი, აქედან 1. 5-2 კუბური მეტრი ექსპორტირდება ავსტრიასა და იტალიაში. ხოლო იმპორტი, რომელიც ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან შემოდის, სულ 0,6-0,7 მილიონი კუბური მეტრია. ამავდროულად, მერქნის მოპოვება უკანასკნელ წლებში საგრძობლად გაიზარდა, როგორც ერთგვარი “განახლებადი” საწავავი არაეფექტურ ბიომასის ელექტროსადგურებში გამოსაყენებლად.

ევროკავშირის ბაზართოების ზეგავლენა უნგრეთზე

ევროკავშირში უნგრეთის შესვლას გარკვეული ზეგავლენა ჰქონდა ქვეყნის ტყეებზე. თუმცა, სანამ ქვეყნის დაცულ ტერიტორიებზე დაიწყო გავრცელება ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივამ (და შესაბამისად, Natura 2000 ქსელისთვის შესაბამისი ტერიტორიების გამოყოფა), სატყეო კანონმდებლობის მხრივ არანაირ ცვლილებას არ ჰქონია ადგილი.

ევროკავშირის გაფართოების დღისთვის დასრულდა უნგრეთის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის მოთხოვნებთან, მიუხედავად, იმისა რომ უნგრეთმა დაგვიანებით და გარკვეული წინააღმდეგობებით, მხოლოდ 2004 წლის სექტემბრისათვის დაასრულა დაცული ტერიტორიების სიის მომზადება Natura 2000 ქსელისთვის.

თუმცა, ჰარმონიზირებული კანონმდებლობა თავისთავად ვერ დაიცავს ტყეებს. გარკვეული უნგრული რეგულაციები საკმაოდ უფრო მკაცრია ვიდრე ევროკავშირის მოთხოვნები. კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ძლიერ მნიშვნელოვანი იყო დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოებისა და Natura 2000-ში შეტანისთვის.

პრაქტიკაში, კანონმდებლობასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია მისი აღსრულების საკითხები. მაგალითისთვის, უკვე 2004 წლის ოქტომბერში დაინიშნა ინტენსიური ჭრები სექტემბერში Natura 2000-ში შეტანილ ტერიტორიებზე. ამასთან მართვის გეგმები უმეტეს დაცულ ტერიტორიებში, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაშია, არ არის ჰარმონიზირებული ჰაბიტატების დირექტივის არც მოთხოვნებთან და არც მის არსთან.

საერთაშორისო ორგანიზაცია FERN-ის ანალიზით, თუ სასწრაფოდ არ მოხდება ევროკავშირის კანონმდებლობის ეფექტური აღსრულება უნგრეთის სატყეო სექტორში, მოხდება უნგრეთის ტყეების კიდევ უფრო მეტი დეგრადირება. მაშინ როდესაც ახალ

კანონმდებლობას არ მოუტანია საფუძვლიანი ცვლილებები სატყეო ინდუსტრიაში თუ სახელმწიფო სტრუქტურებში, ადგილი აქვს როგორც ოფიციალური მაკონტროლებელი ორგანოების შესუსტებას (კადრების შემცირება, სტრუქტურების გაერთიანება), საზოგადოებრივი კონტროლის შესუსტების მცდელობებს. არსებობს მთელი რიგი რეკომენდაციებისა, რომელიც FERN, მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდი და სხვა უნგრული ორგანიზაციების, რომელთა განხორციელება აუცილებელია რათა შეჩერდეს უნგრეთის ტყეების შემდგომი განადგურება. მოხდეს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და რეგულაციების აღსრულების მექანიზმების გაძლიერება, ტყის მმართველობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება, კერძო მეპატრონეთა კანონიერი დახმარებების, წვრთნებს და კონსულტაციების უზრუნველყოფა, მათი შესაძლებლობების ზრდა დაიცვან და მართონ მათი კუთვნილი ტყეები.

ინფორმაცია - ეროვნული პარკების პრივატიზაცია

ინფორმაციის მთავრობამ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დააფინანსოს თავისი დაცული ტერიტორიების შესაბამისი მართვა და გადაწყვიტა ეროვნული პარკების მართვის პრივატიზაციის განხორციელება. მსოფლიო ბანკმა და სხვა საერთაშორისო დონორებმა მხარი დაუჭირეს ინფორმაციის მთავრობას და დაეხმარნენ ე.წ. “საზოგადოებრივ-კერძო” პარტნიორობის ჩამოყალიბებისას.

შემუშავებულმა სქემებმა გამოიწვია ისეთი ნაციონალური პარკების, როგორცაა კომოდო, ბუკირ ბაკა, რაია, ბუნაკენ და ვაკატობი - ნაწილობრივი პრივატიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ განაგრძობს პარკის მართვას, კომპანიების ჩართვამ მართვაში საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია.



კომპანიათა უმეტესობა დაკავებულია ეკოტურიზმით და შესაბამისად დაინტერესებულია ტურიზმის განვითარებით. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც თავიანთ ტრადიციული არსებობის ზონებში ცხოვრობდა, იძულებული იყო გადასახლებულიყო. ზოგიერთი მათგანი,

გარემოს კონსერვაციით გამოწვეული ლტოლვილად იქცა და იძულებული გახდა გადასახლებულიყო ქალაქებში. ტრადიციულ ტერიტორიებთან ხელმისაწვდომობის დაკარგვამ აიძულა ადგილობრივი მოსახლეობა თვითგადარჩენის ალტერნატიული გზები ეპოვნა. მართალია, ზოგიერთი კომპანია შეეცადა თვითონ გამოენახა დასაქმების სხვა წყაროები. მაგრამ ასევე ადგილი ჰქონდა ბიოპირატობას, როდესაც კომპანიები ყიდდნენ ან გადასცემდნენ ტრადიციულ ცოდნას და გენეტიკურ ინფორმაციას ფარმაცევტულ კომპანიებს.

კომოდოს ეროვნული პარკი

კომოდოს ეროვნული პარკი 132 572 ჰექტარზეა განლაგებული და 1986 წლიდან წარმოადგენს იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანს და ბიოსფერულ რეზერვატს. 1995 წელს მთავრობამ ხელშეკრულება დადო ამერიკულ არაკომერციულ “ბუნების კონსერვაციის ტრანსნაციონალურ ინსტიტუტთან?” (TNC) და მოახდინა კომოდოს ეროვნული პარკის მართვის პრივატიზაცია. “ბუნების კონსერვაციის” მიერ შემოთავაზებული “თანამშრომლობითი მართვის კონცეფცია” ფოკუსირებულია ეკოტურიზმის განვითარებაზე ადგილობრივ კომპანიებთან ერთად, რათა პარკი გახდეს მომგებიანი.

ამასთან ერთად, “ბუნების კონსერვაციის ინსტიტუტი” კონსერვაციის პროგრამის მთავარ მოწინააღმდეგეებად აღიქვამს ადგილობრივ მოსახლეობას. მოსახლეობას აეკრძალა პარკის ტრადიციული გამოყენების ტერიტორიებზე შესვლა, მოხდა მათი ინტერესების იგნორირება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საზღვაო დაცული ტერიტორიის პროგრამამ მნიშვნელოვნად შეცვალა 20 000 ადამიანის ცხოვრება ადგილობრივი მეთევზეთა დასახლებებიდან.

“ბუნების კონსერვაციის ინსტიტუტი” და პარკის ხელმძღვანელობა მუდმივად ლაპარაკობს პროექტის წარმატებაზე. თუმცა იმისთვის, რომ აეკრძალათ მოსახლეობისათვის პარკში შესვლა, მენეჯმენტმა შექმნა ერთობლივი საპატრულო გუნდი, რომელიც შედგება პარკის რეინჯერების, არმიის, პოლიციის და თევზჭერის მაკონტროლებელი ორგანოებისგან. ამ პატრულის მუშაობის შედეგად უკვე ათი ადამიანია მოკლული და სამი გამქრალი. არსებობს პატრულის მიერ განხორციელებული უამრავი ცემისა და წამების ფაქტი. მეთევზეთა რამოდენიმე ოჯახი გაასახლეს თავისი საცხოვრებელი ადგილიდან. სულ ცოტა 40 მეთევზე ნაწამები და დაპატიმრებულ იქნა და მიესაჯა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ამავდროულად, ბუნების კონსერვაციის ინსტიტუტმა 2004 წლიდან მიიღო 30-წლიანი კონცესია და თანადაფინანსებულ იქნა მსოფლიო ბანკის მიერ 5 მილიონი აშშ დოლარით¹⁸.

მაღაზია – მულუს ეროვნული პარკი

გუნუნგის მულუს ეროვნული პარკმა, სარავაკის პროვინციაში 1985 წლიდან უამრავი მნახველი მოიზიდა. ტურისტებს პარკი იზიდავდა როგორც თავისი უზარმაზარი მღვიმეებით – მათ შორის მსოფლიოში უდიდესი მღვიმით, ასევე მცენარეებისა და ცხოველების მრავალფეროვნებით. პარკის ერთი ჰექტარზე შეხვედებით უფრო მეტ სახეობას, ვიდრე მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში.

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმს საკმაოდ დიდი ეკონომიური მოგება მოჰქონდა, ეს მოგება ყოველთვის არ ნაწილდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. უკანასკნელ პერიოდში, პარკის მართვის პრივატიზაციის მცდელობებმა ხაზი გადაუსვა იმ მცირე უფლებებს, რაც მთავრობამ თავის დროზე მიანიჭა რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას. დიდი ხნით ადრე, სანამ მულუს ტერიტორიას ტურისტები დაიპყრობდნენ, აქ ცხოვრობდა ორი მკვიდრი ტომი – ბერავანები და ნომადიკ პენანები.

როდესაც პარკი დაარსდა, მისი მართვა ხორციელდებოდა სარავაკის პროვინციის ბიომრავალფეროვნების და ეროვნული პარკის დეპარტამენტის მიერ. ამან საშუალება მისცა მკვიდრ მოსახლეობას შეენარჩუნებინა ტრადიციული “პრივილეგიები”, ნადირობა ირემსა და ტახზე, თევზაობა და გარკვეული სახეობის მცენარეების მოპოვება შესაბამისად გამოყოფილ ზონებში.

მას შემდეგ, რაც 2002 წელს ტერიტორია იუნესკოს მიერ შეტანილ იქნა მსოფლიოს მემკვიდრეობის ნუსხაში, პარკის მართვა გადავიდა კერძო მფლობელობაში. კომპანია ბორსარმული პარკის მართვა წარმოადგენს ბორსამულუ კურორტების შვილობილ კომპანიას, და რომელიც ფლობს მულუს სასტუმროსა და კურსურტს პარკთან ახლოს. კომპანიას ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს მთავრობასთან, რადგანაც რამოდენიმე



დიდი მეწილე წარმოადგენს კომპანიებს, რომლებიც იმართებიან პრემიერ-მინისტრისა და სხვა მინისტრების ახლო ნათესავეებით.

1975 წელს, როდესაც დაიწყო პარკის ექსპლუატაცია, მთავრობამ 20 აკრი მიწა შეიძინა ადგილობრივ მიწათმფლობელისაგან პარკის ადმინისტრაციის შენობისათვის, რომელიც არ აშენებულა. ეს მიწა მთავრობამ გადასცა ბორსამულუ კურორტების კომპანიას. 1993 წელს კომპანიას ლიზინგის წესით საჩუქრად გადასცეს კიდევ 243 აკრი მიწა საკურორტო ინფრასტრუქტურის გასანვითარებლად. თუმცა ამ დროისათვის, ბერევანის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მოითხოვა მიწის დაბრუნება კანონიერი მფლობელებისათვის და ნაწილმა ააშენა კიდევ მცირე ტურისტული სასტუმროები. ამის შედეგად გაიმართა საკმაოდ მწვავე დისკუტი მთავრობასა და ბერევანებს შორის, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. 1990 წლებიდან ბერევანებმა დაიწყეს მშვიდობიანი საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც მთავრობა პოლიციის გამოყენებით არბევს. დღესდღეისობით სასამართლო მიმდინარეობს მთავრობასა და ადგილობრივ მიწათმფლობელებს შორის როგორც ამ მიწის ნაკვეთის, ისე იმ ტერიტორიების გამო, რომელიც მთავრობამ მულუს აეროპორტის გაფართოებისათვის გამოიყენა. მთავრობისა და კომპანიის მცდელობით ბერევანები ვეღარ ღებულობენ მონაწილეობას პარკთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებაში, შედეგად მრავალი ადგილობრივი მცირე ბიზნესი, რაც დაკავშირებული იყო ტურიზმთან დაიხურა. ამჟამად, მრავალი ბერევანისთვის დასაქმების ერთადერთი შესაძლებლობაა, დასაქმდეს როგორც შავი მუშა ბორსამულუს კომპანიაში.

უკვე ათ წელზე მეტია ბერევანები მოითხოვენ მთავრობისაგან, რომ:

- აღიაროს ბერევანების უფლებები მიწაზე
- მოახდინოს ბერევანების მიწების დემარკაცია და გასცეს მფლობელობის დამადასტურებელი მოწმობები;
- უზრუნველყოს ბერევანების მონაწილეობა მულუს ეროვნული პარკის და მართვასა და კონტროლთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- უზრუნველყოს ტურიზმის შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება და ბერევანებს მიეცეთ კულტურულ მემკვიდრეობაზე ტურიზმის ზეგავლენის გაკონტროლების საშუალება.

¹ საქართველოს გარემოს მდგომარეობა, 1996 წელი,
http://www.parliament.ge/SOEGEO/hp_soege.htm

² დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2003-2003 წლებში და დამტკიცებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

³ ტყის კოდექსი, თავი III, მუხლი 9

⁴ პროექტი დამტკიცებულ იქნა მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2002 წლის ივნისში

⁵ Component A “Support to National Forest Policy Formulation and Implementation” (US\$ 6.8 million) Georgia-Forestry Development Project, World Bank, Project ID GEPE44800

⁶ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდები – www.greenalt.org და www.forestgeo.net

⁷ იხილეთ “The Flawed Wisdom of Sustainable Forest Management” http://www.cifor.cgiar.org/docs/_ref_publications/newsonline/32/wisdom.htm

⁸ იხილეთ “the Global Initiative to Address the Underlying Causes of Deforestation and Forest Degradation”, http://www.wrm.org.uy/deforestation/uc-rpt_eng.pdf

⁹ “ვაშინგტონის კონსენსუსი” არის ნაკრები მთელი რიგი პოლიტიკური რეკომენდაციების რომლებიც წარმოდგენილ იქნა მრავლი ნეოლიბერალი ეკონომისტის მიერ როგორც ეკონომიური ზრდის ფორმულა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. იგი გულისხმობდა მთელი რიგი ეკონომიკური რეფორმების გატარებას, რომელთა მიზანი იყო შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკის დამსგვასება მაგალითისთვის აშშ-ს ეკონომიკასთან. პირველად ის წარმოდგენილი იყო 1989 წელს ჯონ ვილიამსონის მიერ საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტიდან

¹⁰ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტყეების გამოკლებით

¹¹ ევროკავშირის ქვეყნების ბიუჯეტიდან, ასევე ევროკავშირის ბიუჯეტიდან, ყოველწლიურად ევროკავშირის სატყეო სტრატეგიის თანახმად გამოიყოფა გრანტები კერძო მფლობელების (მოქალაქეებისა თუ კომპანიებისა) ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა, საზოგადოების ხელმისაწვდომობისა და ტყეების განაშენიანებისათვის.

¹² გრანტები ეძლევა როგორც წვრილ ასევე მსხვილ მიწათმფლობელებს, როგორცაა დევონშირისა, ათჰოლის, ბაქლეუჩის ჰერცოგები, ასევე სამეფო ოჯახს, აგრეთვე კომპანიებს დანიიდან, ავსტრიიდან, ჰოლანდიიდან, ფინეთიდან და კანადიდან. “Private forests cost taxpayers J40m , Peers, royals and foreigners share windfall” David Hencke and Rob Evans, Monday May 23, 2005, [The](#)

Guardian

¹³ Nature Conservation in Private Forests of Selected CEE Countries, Opportunities and Constraints, 2001, IUCN European Regional Office,

¹⁴ Forests and Forestry in Jokkmokk Municipality , By Karin Beland Lindahl - Taiga Consulting, October, 1998

¹⁵ უნგრეთში კანონმდებლობის მიხედვით არ არსებობს განსხვავება პლანტაციურ სატყეო მეურნეობასა და ტყეს შორის

¹⁶ Ivan Gyulai, the Underlying Causes of Forest Degradation in Hungary, with a special emphasis on the privatisation of forest areas , <http://www.wrm.org.uy/deforestation/Europebackground.html>

¹⁷ Hungarian Forestry (2003), Aqua Kiady, Budapest.

¹⁸ Komodo National Park: Conservation for Whom? http://www.eng.walhi.or.id/kampanye/hutan/konservasi/komodonp_cs/

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Materials for 4th ministerial conference on the Protection of Forests in Europe, Europe's forests in the spotlight, Protected Forests in Europe,

2. Myths of the European forest, UNECE, 2001

3. The global outlook for future wood supply from forest plantations GFPOS Working Paper No. 3, FAO , 2000

4. Multifunctional forestry as a means to rural development; Establishing criteria for region-specific strategies for balancing public demands and forest owners' objectives, National Synthesis Report, Hungary State Forest Service, Section of Forest Inventory, University of West Hungary, Department of Forest Policy and Economics, Laszlo JAGER,, 2002. FAIR- CT98- 4223 MULTIFOR.RD

5. Privatization, nature for sale, the impacts of privatizing water and biodiversity, FOEI 2005

6. Sustainable for Whom? A discussion paper on certification and communities in the boreal region, case studies from Canada and Sweden, Chanda L.Meek, Taiga Rescue Network, Boreal Footprint Project 2001

7. Trends, Friends and Enemies...An Overview of the Boreal Forest, Taiga Rescue Network, 2002

8. Impact of Land reform on the nature conservation system in Estonia, By Rein Ahas., Tartu 1999